კვირა 6 ივნისი

ფასი 10 კაპ.

მათრახი

№ 23 — სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

ლიტოგრაფია ს. ბიხოვისა.

ბატაილის გაცილება.

ეშმაკის ინტერვიუ.

სოფლის მღვდელთან.

— რასა ბრძანებთ, მამაო, ქართველი სამღვდელოება, ეს ძარღვია ქართული ეროვნებისა.

— თქვენს პირს შაქარი! ჩვენ კი დავკარგეთ იმედი ჩვენი ბედის გამობრუნებისა.

— მე, როგორც ერის კაცი. ძლიერ ცოტას ვკითხულობ სამღრთო წერილის წიგნებს, მაგრამ იქიდანაც ნათლად სჩანს, რომ სამღვდელოება, ეს ყველაზე უფრო გაჭირვებული ნაწილია ხალხისა.

— გაცხონოს, შვილო, ღმერთმა. ამისთანა ტკბილი სიტყვა ჩვენ ერთი აღარ გაგვიგონია აგერ ხუთი ექვსი წელიწადია. ჩვენს გაჭივრებას კაცი ვერ ასწერს, ენა ვერ გამოსთქვამს.

— რა უფრო აწევს ლოდათ თქვენს დღევანდელ ცხოვრებას, მამაო ოქროპირ!

— რომელი ერთი გითხრა, შვილო! ხალხი ისე გვიყურებს, როგორც მტრებს... საყდარში ისე არავინ შემოვა, თუ სტრაჟნიკმა ძალათ არ შემოიყვანა. ამდონ ხანს თათრის მამასახლისები გვყავდა და ისინი ქე აქცევდენ ყურადღებას ამ საქმეს, ახლა მოსპეს და დავრჩით ორი სამი დედაბრის ამარა.

— მერმე რისთვის არ ითხოვთ, რომ ხალხს დაავალონ ყოველ უქმე დღეს ეკლესიაში სიარული და შესაწირავის მოტანა?

— ეს, შვილო, ჩუმათ კიდევაც ვითხოვეთ, მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ. აშკარათ რომ ვთქვათ, კიდევ უფრო უარესია დრამა ფულის აღება ხომ სატანჯველია და სატანჯველი.

— უჭირს ხალხს, არა?

— ხალხს რა უჭირს, შვილო, გასაჭირი ჩვენ გვადგას თუ სტრაჟნიკი არ ჩაუყენე, თუ საწინდარი არ გამოიტანე ოჯახიდან, ისე ქისას თავს არ მოხსნის და ისე გაგამწარებს. საშინლათ გაძუნწდა და გაფუქდა ხალხი:

— რისთვის ეზარებათ ნეტავი ეგრე საშინლათ რაღაც ორიოდ მანეთის გადახდა?

—ოი ღმერთი დასწყევლის იმ „ერთობის" მომგონს. იგენმა შეაგონეს ეს უსამართლო გადასახადიაო, თორემ გლეხმა რა იცოდა, რომელი სამართლიანი იყო და რომელი უსამართლო?

— იმას კი არ ფიქრობენ ის დალოცვილები, რომ ცხრა შვილი გყავს გასაზრდელი და შენ თითონაც რჩენა გინდა.

— შვილები ხომ შვილებია, ისე რამდენი ხარჯი ჩვენა გვაქვს, ვინ მოსთვლის შენი ჭირიმე.

— სხვა რაღა გაწუხებთ, რომ აღარ ვიცი? ფუფუნებას და გასართობებს თქვენც უნდა დაანებოთ თავი.

— რის ფუფუნება შვილო. აი ხუთშაბათს, მაგალითად ეფისკოპოზი მოდის რევიზიაზე.

— მოვიდეს

— მოვიდეს, რასაკვირველია, არაფერია მისი მოსვლა, მაგრამ...

— რაღა მაგრამ! ალბათ ანგარიშები გაქვს ცოტა იაღლიშათ, არა?

— ანგარიშები უნდა მაშ! ოთხი ხუთი თუმანი ხარჯი უთუოდ ამყობა.

— ნუ აზვიადებთ, მამაო! ერთი ბერის მასპინძლობა, არც ისე დიდი ხარჯია.

— ბერი ერთია შვილო, მაგრამ აი იმდენი სტრაჟნიკები რომ დაყვება, პრისტავი და მამასახლისი კიდევ სხვაა, ახლა აქ უნდა დაეპატიჟო ვინმე წარჩინებული პირები და აი ქე შე'დგა საქმე და ხარჯი.

— სტრაჟნიკები რა საჭიროა, დიაკვნები ხომ არ არიან?

— მაშ, როგორ იქნება! ჩვენი ბედ იღბალი იმათ ხელშია და გვერდს ვინ აუქცევს.

— მართლა დიდს გასაჭირში ყოფილხართ, მამაო! სამაგიეროთ, ახლა თუ მოიმადლიერებთ სტრაჟნიკებს და მამასახლისებს, დრამის დროს გაგიადვილდებათ შრომა და სატანჯველი.

— აბა მაგის იმედიც რომ აღარ გვქონდეს, წყალში უნდა ჩავვარდე და ისაა.

საბრალო ქართველი სამღვდელოება! რომელ ერთ სატანჯველს გაუძლოს!

ეშმაკი.

პლაგიატი.

(თავისუფალი თარგმანი)

დიდათ გავრცელებულ ჟურნალის ,,ხურდა''-ს რედაქტორისაგან ასეთი წერილი მივიღე:

,,ძვირფასო იგოლკინო! ხვალ შვიდი საათისათვის უთუოდ უნდა წარმოგვიდგინოთ რაიმე მოთხრობა თქვენი კალმისა 3—4 ფურცლის საკმარი. ამ წერილის მიღებისათანავე ჩაუჯექით. იმედი მაქვს არ მოგვატყუებთ. წასახალისებლათ ახლავ გიგზავნი 10 მანეთს, რაიცა ძველად წაღებულთან ერთად შეადგენს 18 მანეთს. აბა ყელი არ გამოგვჭრა.

თქვენი ივანე ხაპუგინი''.

უნიჭო მწერალი ჩემს ადგილზე ძლიერ დაიბნეოდა, შეშინდებოდა, მაგრამ მე, როგორც ნიჭიერი და გამოცდილი, მყისვე საქმეს ჩავუჯექ.

მსწრაფლ გავაღე შკაფი, გამოვიღე იმავ ჟურნალ ,,ხურდა''-ს ძველი შარშანდელი ნომერი, ამოვარჩიე პირველივე მოთხრობა ერთი ,,ცნობილი'' ახალგაზრდა მწერლისა, რომელიც დღეს უკვე ყველასაგან დავიწყებულია და გამალებით შევუდექ გადმოწერას.

მთელი ღამე გავიტეხე ჯანი, განუჩერებლივ და თითქმის სიტყვა-სიტყვით ვიწერდი ჩემს საკბილო მოთხრობას. გათენებისას რის გაჟივრებით მოვრჩი, მოვაწერე ჩემი სახელ-გვარი და ვაახლე პატივცემულს რედაქტორს.

მოთხრობა დიდის ხალისით წაიკითხეს, მოიწონეს და დაბეჭდეს.

სახელად ერქვა მას ,,შოლტების კონა''.

II

გავიდა ორი თვე. ამ ხნის განმავლობაში კრიტიკოსები ერთგულათ არჩევდენ ჩემს მოთხრობას. ზოგიერთნი ყოვლად უნიჭოსა და უმეცარს მეძახდენ, ჩემი ნიჭისაგან აღარაფერს მოელოდენ, სამაგიეროთ სხვებს ცამდე ავყავდი და გენიოსთა შორის მრიცხავდენ.

რამოდენიმე მეცნიერმა ლექციაც კი წაიკითხა ,,შოლტების კონა''-ზე უნივერსიტეტში, აკუშორთა კურსებზე, გინოვოლოგიურ ინსტიტუტში და ზოოლოგიურ ბაღში. .

ზოგიერთნი ამბობდენ, რომ მე უნდა დამედგას ძეგლი, მეორენი ურჩევდენ ჭეშმარიტ ლიტერატორებს მოედანზე გამოვეყვანე და საჯაროთ დავეწვით ჩემს ,,შოლტებთან'' ერთად.

მესამე თვის დასაწყისში, შემთხვევით გადავშალე ერთი პატივცემული ჟურნალის ნომერი და ასეთ მოულოდნელ წერილს წავაწყდი:

ურცხვი პლაგიატი.

,,ბ-ნი მახათაძე, შეიძლება ითქვას უკვე ცნობილი და დამსახურებული მწერალი, გამოდგა დაბოლოს მხოლოდ უბრალო, უსირცხვილო ლიტერატურული ქურდ-ბაცაცა. იმისი მოთხრობა ,,შოლტების კონა''...

— ნუ თუ ყველაფერი გამომეღვანდა?.. ნაღვლიანათ გავივლე გულში. თითონ ავტორმა ვერაფერი გაიგო, ხმა არ ამოღია და აქ.. ღმერთო ჩემო!

მე მოვიკრიფე ძალ-ღონე და განვაგრძე:

— ,,მისი მოთხრობა ,,შოლტების კონა'' უბრალო ქურდობაა. ბ ნ მახათაძეს ის სიტყვა-სიტყვით ეადმოუწერია კოლუმბის დროინდელ ამერიკელ მწერალ ჯონ-ლაისაგან.

— ამერიკელისაგანაო?! ოჰ, მადლობა ღმერთს! თავისუფლათ ამოვისუნთქე მე.

— აი თურმე რისთვის არ იღებდა ხმას ჩემ მიერ გაძარცული ახალგაზრდა თანამშრომელი ჟურნალი ,,ხურდისა''! ცხადია, იმასაც ამერიკელი ჯონ-ლაისათვის მოუპარავს. დახეთ იმ უსინდისოს?!..

თავისუფლათ ჩავიკითხე მთელი წერილი და ჩინებულს ხასიათზე დავდექი.

— რა ვქნათ! ამერიკელს მოჰპარო ეს კიდევ არ არის დიდი დანაშაული!

III

გავიდა კიდევ ორიოდ თვე. მე კიდევაც გადამავიწყდა ჩემი პლაგიატის ისტორია, რომ მასზე საფრანგეთმა დაიწყო ლაპარაკი.

ერთმა ფრანგულმა ჟურნალმა, სრულიად უმიზეზოთ და მოულოდნელათ დასწერა ამის შესახებ:

,,ერთ-ერთ რუსულ ჟურნალში არჩევენ ამერიკელი ჯონ-ლაის მოთხრობას. ეს მწერალი შესანიშნავი იყო მით, რომ გარდაიცვალა რამოდენიმე ხაუკუნის წინეთ. მოთხრობას ეწოდება: ,,შოლტების კონა'' და რუსულ ენაზე გადათარგმნა ბ-ნმა იგოლკინმა.

ამით ვაცნობებთ პატივცემულ რუსულ ჟურნალს, რომ ამერიკელმა მწერალმა ჩაიდინა უსინდისო ქურდობა, რადგან მოთხრობა ,,შოლტების კონა'' ეკუთვნის ჩვენს თანამემამულეს ჟან და ვალს. მართლაც ამერიკელთა სიურცხვე უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ასეთი აშკარა ქურდობა ჩაიდინოს

ფრანგებო! გირჩევთ უფრო გაუფრთხილდეთ ჯიბეებს ამერიკელებთან შეხვედრის დროს''!

— ეს სწორეთ საზიზღრობაა! უნებლიეთ ამომხდა გულის სიღრმიდან.—ქურდობა და ისიც ეგრე ურცხვათ, უსინდისოთ. ერთი ზღვიდან მეორეზე! არა, ამის მაგვარს კაცი ძნელათ მოისაზრებს.

IV

— გაიგე? შემეკითხა გაზეთ ,,ფირფიტის'' თანამშრომელი.

— არა, არაფერი გამიგია. რაშია საქმე?

— როგორ თუ რაში, გერმანია. ამხელს საფრანგეთს ლიტერატურულ ქურდობაში, პლაგიატში.

— ეს ძალიან საინტერესოა! აბა მიამბე!

მეგობარმა დაიწყო:

— რომელღაც ფრანგმა დასწერა მოთხრობა...

— ,,შოლტების კონა''! წამოვიძახე მე. ჩემი მოსაუბრე ძლიერ გაოცდა.

— შენ საიდან იცი?

— ისე, სადღაც რაღაცას ყური მოვკარი. განაგრძე, განაგრძე!

— ჰო და, გამოირკვა, რომ თურმე ეს მოთხრობა იმ ფრანგს მოუპარავს გერმანელ მწერლის ბ-ნი ბირფურეტისათვის. აი თურმე რა ხალხნი ყოფილან ეს ჩვენი სანაქებო ფრანგები!

— გაირყვნა ქვეყანა, გაირყვნა! დავეთანხმე მეც და ორი საათის განმავლობაში ავათ ვიხსენიებდით ამ უსირცხვილო ლიტერატურულ ქურდ-ბაცაცაებს

V

ინგლისსა და გერმანიას შორის შავმა კატამ გაირბინა.

პოლიტიკურ ჰორიზონტზე მრისხანედ ამოიმართენ ომის მომასწავებელი მრისხანე ღრუბლები.

ეძებდენ მიზეზს უთანხმოებისას, მაგრამ არსად

შავიქვის მრეწველთა სიეზდი



1) მუშების დამხლვევ აგენტათ დამნიშნეს, ახლა კი ვექილების შემკრებ აგენტათ მაქციეს.

2) ვაჟი № არიგებს ჩამოჭანილ ვექილ ო. შებს. და თან უხსნის თუ ვის თეთრი მისცენ და ვის შავი, თან აჩვენებს ყუთზე.

3) ზდანოვიჩის ყუთი. მხოლოდ ხუთის შავი!!!

მეჯლისი არჩევის შემდეგ.

„დაბეჭვრეს და სადღეგრძელო სათითაოთ გაარჩიეს.“

სჩანდა. გერმანიაცა და ინგლისიც ძლიერის სიფრთხილით იცავდენ ამ საიდუმლოს.

მეზობელი სამეფოები „გულმოდგინებით სთხოვდენ მოქიშპეებს:

— მხოლო უომრათ, მშვიდობიანათ გადასწყვიტეთ თქვენი სადაო კითხვა. ომი, ეს უდიდესი უსამართლობაა, ეს ნაშთია ადამიანთა ბარბაროსული ხანისა. კულტურულ სახელმწიფოს არ შეშვენის მოძმეთა სისხლის ღვრა, მეზობლის აოხრება.

ჩუმათ, გულში კეთილის მსურველნი ასე ჩურჩულობდენ:

— მშიშრები! თქვენა გგონიათ ესენი ომამდე მიიყვანენ საქმეს. ომი რა მხდალებისა და ქალაჩუნების საქმეა! ეს მხოლოდ იქოჩრებიან მამლაყინწებსავით და სისხლის ღვრას ვერ გაბედავენ.

დაბოლოს საიდუმლოს ფარდა აეხადა. ერთმა ავსტრიულმა ჟურნალმა სარწმუნო წყაროებიდან გაიგო ყოველივე და დასწერა:

— „საზიზღარი და მიუტევებელი საქმე ჩაიდინა გერმანიამ ინგლისის წინააღმდეგ. ერთ გერმანელ მწერალს ბირვურტს ლონდონის სახალხო ბიბლიოთეკიდან მოუპარავს ცნობილი ინგლისელი მწერლის სტედ-ველოსიპედის მოთხრობა „შოლტების კონა“ და დაუბეჭდია თავისი სახელ-გვარით. შეურაცხყოფილმა ინგლისმა თავისი სამხედრო ფლოტი საომარ ფეხზე დააყენა და გერმანიის ნაპირებისაკენ გაისტუმრა. ელოდეთ ომს“..

მეზობელ სახელმწიფოთა სამწუხაროთ საქმე მშვიდობიანათ გათავდა. შესდგა მხოლოდ დუელი ინგლის-გერმანიის წარმომადგენელთა შორის. ესროლეს ერთმანეთს, მაგრამ ააცდინეს და ამგვარათ საქმე უსისხლოთ გათავდა.

VI

სულ რაღაც სამი კვირა გავიდა ინგლის-გერმანიის შეტაკების შემდეგ და ჟურნალ „ხურდა“ს რედაქტორისაგან მომივიდა ახალი წერილი. ის იწერებოდა:

„ძვირფასო იგოლკინო!

თქვენი სახელი უკვე ცნობილი შეიქნა მთელს მოაზრე კაცობრიობაში. მთელი ქვეყანა თქვენზე ლაპარაკობს. ამ წერილთან ერთად გიგზავნი ნომერს იტალიანურ ჟურნალისას, სადაც ვრცელი წერილია თქვენს შესახებ. იმედია წაიკითხავთ. მხოლოდ ძლიერ ნუ გაამაყდებით!

თქვენი ხაპუგინი“.

მეც გავშალე ჟურნალი და წავიკითხე:

„მოგეხსენებათ, ამ მოკლე ხანში გაცხარებული კამათი გამოიწვია მოთხრობამ „შოლტების კონა“. იმის შესახებ დიდი უთანხმოება მოუხდა საფრანგეთს ამერიკასთან, გერმანიას საფრანგეთთან, ხოლო ინგლის-გერმანიას შორის კინაღამ სისხლი და სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება გამოიწვია.

ახლა საბოლოოთ გამოირკვა, რომ აღნიშნული მოთხრობა პირველათ დაუწერია რუსების მწერალს, ბ-ნ იგოლკინს, რომელიც ცხოვრობდა ქ. პეტერბურგში ორასი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე“.

— რა ვქნა, რამდენი წლისა ვარ მე! განცვიფრებით წამოვიძახე ამ სასიამოვნო წერილის შემდეგ.

მაგრამ ბევრი ფიქრის დრო აღარ იყო. დაუყონებლივ გავემართე ჟურნალ „ხურდას“ რედაქციისაკენ, რომ გონორარის მომატებაზე დროიანათ აღმეძრა ლაპარაკი.

ო. ლ. დორ.

პოეტის დღიურიდან.

13 მაისი. ოჰ ღმერთო! სულ ეს ავდარი და წვიმა.

„ოჰ ღმერთო ჩემო, სულ ავი დარი,
როდის გვეღირსება, ჩვენ გამოდრება!

მთელი ქვეყანა ბუზებივით მეჩვენება. რისთვის ვცხოვრობთ ნეტავი? რისთვის ვიკლავთ თავებს? ნუთუ ასე უნაყოფოთ უნდა დავლიოთ ჩვენ ჩვენი დღენი?

18 მაისი. ოჰ, ღმერთო ჩემო! ის კიდევ კერპობს. ჩემს ტანჯვას სულ მთლად არ უყურებს.

ისე ელავენ მისი თვალები,
ვითარცა როგორც ცეცხლის ალები.
მისი შავი თმა და ხუჭუჭები,
თავზე აყრია სულ მუჭ-მუჭები...

მისი თვალების უფსკრულში მე ნამდვილი ჯურღმულის სიღრმესა ვხედავ.

ტანს ისე არხევს და იარება,
თითქო თვალთაგან სდის მდუღარება...

19 მაისი. უსვინდისო კაცია ეს ჩვენი მამასახლისი. თითქო ის არ ეყოფოდეს, რომ ხალხს ატყავებს, კიდომ რომ მე ჭორების ცილი არ დამწამოს. საიდგან გაიგო, თითქოს მე მღვდლობა მეთხუოს.

მე არ მსურს მღდლობა
არც დიაკვნობა,
ჩემი საქმეა მთლად პოეტობა.
მე მინდა გავხდე
ნათლის მებრძოლი,
რომელსაც რომა არ მყავდეს ტოლი.

სირცხვილი იმისი, ვინც კაცს ასე უსინდისო ჭორებს შემოგახვევს თავზე.

21 მაისი. ჩემი ცხოვრების მიმდინარეობის მსვლელობა ძლიერ ცუდათ მიდის. არავითარი ნუგეში არსაიდან მომიჩანს.

ვარ ჩემთვის ობლად
ჰირთ მღვრელი ოფლად
ვიწირვი მსხვერპლად
ვითარცა ფერფლად.

მე. ი. მ. ს წ. რ. ი. ა. ნ. ა. მ. გუშინ დილითვე ვუპასუხე. ეჭვები მეზრდებიან. გულზე ბოლმები მაწვებიან და სულთ მიხუთვიან

თუ ასე გასტანს ჩემი ყოფა
წუთისოფელი,
მე ყველაფერზე უთუოდ უნდა
ავიღო ხელი.

თორემ ასეთი სიცოცხლე რაღა სიცოცხლეა.

23 მაისი. რაკი ის ასე ღარიბი იყო, მღვდელს უთუოდ უნდა დაემარხა და დაეკრძალა უფულოთ. ადამიანის გონებაზე კუბოსთან ვაჭროობა მძიმე მოვლენას ახდენს. რა დიდი საქმეა იმისი დამარხვა! ხომ არაფერი?

„როგორაც მკვდარი
კუბოშიგან ჩანადებარი,
სამარის პირად, საფლავთანა
ვიყავ მდებარი
და მოველოდი ოდეს მიწას
წამომაყრიდენ...
მუნ თვალნი ჩემნი აღჭურვილნი
ცრემლებს არ ღვრიდენ.

ვისაც როგორ მოეხალისება, ყველა კაცი სწორეთ ისე უნდა დაიმარხოს. მე მძაგს ძალადობა!

24 მაისი. ოჰ, ეს მომაბეზრებელი ქარები! სულ ბერვენ და ბერვენ! იმათმა არ იციან არც მოსვენება, არც ძილი, არც ღვიძილი.

„ოჰ, მინდა ვიქცე
მე ქარიშხალად,
რომ მოვუბერო
ქვეყანას მრავლად,
რომ შევანძრიო
ღრუბელნი მძრავლად
ცას მოვევლინო
ვითარცა მწყრალად
ბოროტებისა
შესამუსრალად.

დღეს შვიდი ლექსი გავუგზავნე რედაქციას. ყველა ზაკაზნოით იყო, რომ არ დაკარგულიყო. გამაგრდი გულო! დღეს არა, ზეგ ხომ მაინც დამიბეჭდავენ!

26 მაისი. სამი წელიწადი და 8 თვეა, რაც მე ლექსებსა ვწერ. ჩემი აზრების გამოთქმა მოთხოვნილებათ გადაძეცა. ამდენი ხანია ვგზავნი, ვგზავნი და ჯერ ერთიც... რას მივაწეროთ, რომ კიდევ გული არ გამიტყდა? ჩემს სიმტკიცეს.

„ოჰ გულო, გულო!
მტერთა ორგულო,
კვლავ ვითა კლდე ხარ,
შენ ერთი მყევხარ,
ვაღიაცს, რომ გევხარ,
ციხეს დამქცევ ხარ.
შენ გულს არ იტეხ,
ხარ ვითა სიპი,
სიმამაცისა
ნამდვილი ტიპი

მეტი სიმაგრე, ტანჯულო გულო, და სიმამაცე!

28 მაისი. თავს ძლიერ ცუდათა ვგრძნობ. ვატყობ, რომ ორ-სამ საათში უნდა გამაცივოს. ოჰ ბუნების უკულმართობავ! ადამიანი ავათ არასოდეს არ უნდა ხდებოდეს. ჩვენ ისეთი ხან-მოკლე სიცოცხლის დღენი გვაქვს, რომ აქ ავათმყოფობა კიდევ დიდი უსამართლობა არის.

„როგორც ვერცხლის წყალს
ისე ჩვენ, საწყალს
ციების ალი აგვიტეხს კანკალს
და ვართ სიცხეში,
მთელს ჩვენსა დღეში
როგორც რომ პური
იყოს ფუჩნეში.
ამდენი სენი
მტერია ჩვენი,
რომ მოგვიწამლოს
სიცოცხლის დღენი.

ყველაფერს საზღვარი უნდა ჰქონდეს თუ კაცი ხშირათ ავათმყოფობს, მისი სიცოცხლე გასაჭირია.

30 მაისი. ოჰ, ჩვენი სოფლის ფერშალი! ის უსვინდისო, ისა! აბაზის წამალს ორ მანათად ყიდის. როგორ ატყავებენ საწყალ ხალხს!

ათასი მწერი, კოღო და ბუზი
ხალხს ახვევია, როგორც აუზი...
მას უნდა გული გაუფუტურეს
სიკვდილის ცელიც სულ მოაწყურეს.

P. S. ყ თ. ს მ ჩ. რ. ჰ! მე ვფიქრობ, რომ..."

გადმოღებულია **ნაცარ-ქექიას** მიერ.

ნ ა დ ს ო ნ ი თ

ნუ, ნურვინ მეტყვის ისა მოკვდაო'
არა, წინ მიდგას ვითა ცოცხალი ..
დეე, სამსხვერპლე პირქვე დაემხოს,
კიდევ პრიალებს ზედ ცეცხლის ალი
დეე. მოისთლას უმანკო ვარდი,
ჯერ კიდევ ყვავის, აღარ ჩამჭკნარა!
დეე, დაიმსხვრეს ქნარი გრძნეული
აკორდი მოსოქვამს, ჯერ არ ჩამკვდარა!..

ვ. მალაქიაშვილი.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

(ამხანაგ ემმაგის)

ხონი. შესდგა ჯგუფი კარტისტებისა, ჯგუფში შედიან ექიმები, ვექილები, მასწავლებლები, სუდიელი, მწერალი და პრავიზორები. რიგ-რიგობით თავთავიანთი ოჯახებში თამაშობენ, ახალ წევრს მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუ ექნება სათამაშო არა ნაკლები ხუთი თუმნისა.

ს. კუხი. ექიმბაშმა სამსონა ვაჭარაძემ და შვილმა ქიქიკომ, გაილაშქრეს ქალთა სკოლის წინააღმდეგ, ავცელებენ ხმებს გლეხებში, რომ ქალებს რათ უნდა სწავლა, გარყვნილებას ისწავლიანო და სხვა.

ს. მაღლაკი. მასწავლებელ ბიბილეიშვილს ქებით უსტარს უგზავნის ისპეკტორი მაჟნიკოვი იმისთვის, რომ პირველ-დაწყებითი სკოლაში ბავშებს მუნჯური მეთოდით კარგათ ასწავლის.

იქიდანვე. წერა-კითხვის მაღაზიისათვის ეძებენ კაცს, რომ იცოდეს კარგათ ბუჰგალტერია შემდეგ პირობებში. მაღაზია უნდა გაიღოს დილის 4 საათზე და უნდა დაკეტოს ღამის 1 საათ. და 40 წუთზე. ადრესი მასიკოვის ქ. № 126.

ს. მაღლაკი. ერთ კლასიან სკოლაში ოქონობას არღნების გამოფენა იყო.

(სამეგრელოს საავენტო.)

აბაშა. იასონ გაბილაიამ ლექციის კითხვის დროს მარცხათ ენა კბილებით მოიკვეთა, რამაც ლაპარაკი ძალიან შეუშალა. ბევრს კიდეც დაეძინა.

სამტრედია. მეექვსე დღეა, რაც კოწიას და მათეს კამათელი არ გაუგორებიათ.

იქიდანვე. მეოთხე დღეა რაც ილიკოს ,,არ გამაბახო'' არავისთვის დაუძახნია.

იქიდანვე. აქაური მასწავლებლებისაგან შემდგარი ექსკურსია 24 ბავშვით გაემგზავრა ქუთაისს. დაბრუნდა 19 ბავშვით. 6-ს მასწავლებელს, 5 ბავშვი დაკარგვია.

საჭილაო. მარანის საზოგადოება დიდ მზადებაშია: 6 ივნისს, ერთი წლის იუბილეის უხდის მამა ისიდორე ჟვანიას. მოწვეულია კოწია ცომაია ლექციის წასაკითხავად ამ თემაზედ: „ისიდორე ჟვანია და მისნი საქმენი-საგმირონი.

(მგზავრის სააგენტო)

ქუთაისი (რკ. სადგური). ძლიერ გახშირდა კანტროლიორობა. ეხლა მის უფლებას „ПОМОЩНИКЪ"-ებსაც აძლევენ, მაგრამ აძლევენ ყველას კი არა, ისეთებს, რომლებიც „წაიდურმიშხანებენ." განსვენებული კუჭუხიძე აღსდგა უკვე და მთავარ ,,ლინიას'' კანტრალიორობაც მიიღო. მან ბევრები წაახალისა. ქუთაისის ,,პომოშნიკ'' ვასილ რობაქიძეს დღე-ღამ მოსვენება არ აქვს. ეს ორიგინალური კანტროლიორი ცოლიანურთ აკეთებს კონტროლს (ალბათ უნდა დაწინაურდეს.) 23 მაისს ვასილმა ვერ შენიშნა ერთი მგზავრი, სკამს ქვეშ შემძვრალი და ის იყო გადიოდა მეორე ვაგონში, ამ დროს მისმა მეუღლამ დაუყვირა ,,ევრიკა''-ო. მგზავრები შეკრთენ, მაგრამ აღმოჩნდა მართლა ,,ევრიკა''. უშველებელი ყაზახი გამოათრია სკამის ქვეშიდან კანტროლიორშა რობაქიძისამ. „ЗАЙЧИКЪ"-ის წესისამერ წარდგენილ იქნა. ალბათ, მალე ბავშვებსაც წამოიყვანებენ საკონტროლიოთ ჩვენი დროის კანტროლიორები.

ფოთი (რკ. სადგური). კანტროლიორობის საღერღელი ძლიერ აეშალა ბ-ნ ბიბალიშვილსაც, მაგრამ ის უფრო ორიგინალურათ ეწევა მას. დეჟურნობის დროს სადგურზე დაეძებენ, მაგრამ ის აღარსად სჩანს. შემდეგ ირკვევა, რომ ის პოეზდებშია. ამბობენ ბ-ნი ბიბილაშვილი ამ ,,ექსკურსიებით'' ძლიერ წინ წაიწევსო.

რედუდკალე. რედუდკალეს ქალაქის მამების დადგენილებით, თანახმად ყველა სამინისტროების მოწერილობისა ყოველგვარ შემოტანილ საქონელზე დაარსებულ იქნა ½ კ. საფუთო გადასახადი მგზავსად და თანახმად ნიკობურგელ გადასახადისა.

იქიდანვე. ტყუილია ბოროტ ენების მითქმა მოთქმა, თითქოს ეს გადასახადი ფარულად სწარმოებდეს და მამები ჯიბეებს ისქელებდენ. როგორ შეიძლება რედუტკალეებს ,,მამებმა'' შეიმასქნან, იგიც ჩუმათ დაწესებული საფუთო გადასახადი.

მგზავრი.

მთის გადაღმისკენ.

(ფანტაზია სურათებათ)

I

1 მგზავრი. აი აქ... აქით! ქვიდგან—ამ ქვაზე!..
ხედავ, კლდე როგორ ჩამონგრეულა?!
ნიაღვარს ზვავი ჩაუტანია,
მიტომ ბილიკიც აქ მილეულა.
ჰაუ! რა ჯანყი დაჰკვრია ზღვასა...
ნელა! უფრთხილდი აქ გზას, მოლიპულს:
ყავარჯენს მაგრათ მოექიდევი,
არ გადიჩეხო ბობოქარს უფსკრულს.
სულ რამდენიმე ნაბიჯს გავივლით:
ზღვის პირს გავსცდებით, იქ—ბილიკია,
უფრო თამამად ვივლით ჩვენ მაზედ,
თუმცა საფრთხილო გზა ისიც კია.
2 მგზავრი.—ეჰ, ქურციკივით შენ მიხტი წინა,
მე კი ამდენი არ მაქვს შეძლება,
აგერ ბილიკიც მთლად მილეულა,
მითხარ, როგორღა წამოისვლება?!

1 **მგზ.** რა სთქვი? შეძლება? სცადე!.. გაჰბედე!..
გარწმუნებ, რომ არ გაგიჭირდება...
ძალა მოჰყვება გაბედულებას,
შიშით კი, რაც გაქვს, ისიც მცირდება!
მაშ, ჰე, გაჰბედე!..

2 **მგზ.** არა... მე ვრჩები!
შენ კი განაგრძე გზა, წადი წინა!..
გესმის? ზღვამ ღრიალს უფრო უმატა,
ქარმაც საზარლათ დაიქვითინა...
მშვიდობით! ვრჩები...

1 **მგზ.** ბრუნდები კიდეც!
ემსგავსე კიბოს, ღმერთი გაგიწყრა.
ნუ თუ სინდისმა აღარ გაგქენჯნა,
როდესაც გულმა ეგ გადაგიჭრა?!
წადი! იარე.. მაგ ,,უკან სვლაში''
ჰპოე სიამე და ნეტარება,
მე კი... ეჰ, შენთვის აღარ მცალიან...
მივდივარ და ,,წინ'' მიმეჩქარება:
მთას გადავლახავ ჯაგარ აყრილსა!
ბილიკს, არჩეულს არ მოვეშვები
და რომ მთის მწვერვალს ფეხსა დავაბჯენ,
,,მზის სამეფოსკენ'' გადავეშვები...
ჰაუ! რა ტკბილი წარმოდგენაა...
მაშ, მხნედ! აძგერდი, გაკაჟდი, გულო!
და იგუგუნე, ბანი უთხარი
ჩემს გულის ძგერას, ზღვაო, უბსკრულო!..

1 **აჩრდილი.** ჰეი! ვინ მოდის ამ უკუნეთში?
მთის ვიწრო ბილიკს ვინ მონდობია?
უკან დაბრუნდი, სანამ დრო არის!
მე ასე გირჩევ, შენთვის სჯობია...
დაბრუნდი, სუსტო ადამის ძეო!..

1 **მგზ.** ვინც სუსტი იყო, კიდეც დაბრუნდა:
ურცხვად მიჩვენა მოხრილი ქედი,
ესროლა სინდისს ტალახის გუნდა,
მე კი წამოველ, მისთვის კი—არა,
რომ აქ ვუმუხთლო წმინდა განზრახვას,
ჩემი სურვილი ურყეველია:
,,მზის სამეფოსა'' ვისწრაფი ნახვას!
მინდა, რომ ,,შვების ყვავილს'' დავყნოსო,
სალამი მივსცე ,,ხეს ცხოვრებისას''
და დავეწაფო მგზნებარე გულით
,,წყაროს ჩუჩჩუხას უკვდავებისას''!..

1 **აჩრდ** შენ თავხედი ხარ, ან ბრიყვი ვინმე!
გაუტაცნიხარ გიჟურ ოცნებას:
მთას იქით რაღაც სამეფოს ეძებ
და ეწირები ამაო მცნებას;
იქ მაგის მსგავსიც არაფერია...
და თუნდაც იყვეს! შენთვის ერთია
იმ ადგილამდის ვერც კი მიაღწევ:
ეს გზა, სიძნელით, ჯოჯოხეთია!..

1 **მგზ** გზისა სიძნელით ტყვილად მაშინებ,
უიმედობით ამაოდ მაკრთობ,
მზაკვრული გიდევს ალბათ განზრახვა,
რომ წინმსჭვრეტელობ და ენაფართობ.
უკან დავბრუნდე?! ან კი რად მირჩევ,
როს გამოვექეც იქაურობას
და შევუდექი თავგანწირულათ
ამ სახიფათო მოგზაურობას?
დაბრკოლებები გზის მოსაჭრელად
თუ წინაღმიდგნენ, მეც ეს მწადია:
იმათთან ბრძოლას შეჩვეული ვარ
და კვლავაც შევსძლებ, დამიქადია!..

ხორო. „ჩვენ მთის ფოცხვერთ გვეძახიან,
კბილები გვაქვს ალმასისა...
ვაჰ, თუ ვისმე იმედი აქვს
თავის თავის ჩვენგან ხსნისა!
ჩვენ კაჟებს ვხრავთ ჩვენის კბილით,
ფოლადს ვლოღნით, როცა გვშია:
რაც მეტ მაგარს მოინელებ
ვაჟკაცობაც იმაშია!
თუ მგზავრს ვისმე წავაწყდებით,
მთისკენ მავალს, გაბედულსა,
ხელათ ალყას შემოვარტყამთ
და დავუფლეთთ მყისვე გულსა!
ჩვენ მთის ფოცხვერთ გვეძახიან,
კბილები გვაქვს ალმასისა..
ვაჰ, თუ ვისმე იმედი აქვს
თავის თავის ჩვენგან ხსნისა!''..

1 **აჩრდ.** ხომ გაიგონე შენ ის სიმღერა?
ეგ მთის ფოცხვერნი ლხინს ეწევიან!
თუ შეგამჩნიეს, ხომ დაიღუპე:
შეუბრალებლათ მოგესევიან. .

1 **მგზ.** ხმალი თანა მაქვს, ჩემი ძმობილი,
ხანჯალიც, ორპირ ალმასის კბილა:
არა ერთს მწარეთ დაუკვნესია,
ვის თავზეც იგი კი ამოწვდილა!
თვით არ მივდივარ მოსისხლეთ მტერზე,
მაგრამ მომხვდურსა კი მეც ვუხვდები:
ან მოვინელებ, ვით დაბრკოლებას,
ან ვაჟკაცურად ზედ შევაკვდები!
დე, მთის ფოცხვერნი შემომესიონ,
ალმასის კბილნი ააბრჭიალონ!
ვნახოთ, თუ იმათ ასეთი ქცევით
ვისი სიცოცხლე გაატიალონ?!..

—

...ბრძოლა გაჩაღდა: ხმალმა იელვა,
მასთან ხანჯალმაც იწყო პრიალი:
დაეცა ერთი, ორი... ურიცხვი..,
ისმის სულთმობრძავ მხეცთა ხრიალი...
თავდება ომი! საგამარჯვებო
მგზავრმა შეტევის დასცა ყიჟინა!..
გასწმინდა ხმალი, წრთლად ნაღები,
ჩაიგო და მხნეთ გასწია წინა.
მღერა დაიწყო გამარჯვებულმა,

შეახმაურა მთის უბეები:
იქცნენ ხმამაღალ დაძახილებათ
მგზავრის სიმღერით დანატყვეები!..

—

2 **მგზ.** ჩუ! ნაკადულმა გადიკისკისა
უკმეხი, ცელქი, ცივი სიცილით.
ალბათ, ეხუმრა თავის სალ ნაპირს,
ან ქვას გაეკრა ალმასის კბილით.
გიჟი! იმისთვის სულ ერთი არის
დღე ავ-ტაროსი, ანუ მხიანი!
მირბის, მიცელქობს თავის ორწოხში,
დაუღალავი ხალისიანი...
იოლიც არის განა მისი გზა!
ჩემს ეკლიან გზას არ ედარება,
სადაც, თუ ოფლით არ ძოასველე,
არ შეგიძლია წინ გზის გარება.
ის დალმართისკენ ლაღათ მიხტუნავს,
მე კი მთის ალმართს მკერდით ვაწვები,
სადაც, სხვა დაბრკოლებასთან
გზად უნდა ჰკაფო ეკლის ქაცვები:
მათ მსხვილ ძირთ უნდა აუმარჯვო ცელი,
ოფლი წურწურით დაგედინება...
ეჰ, ნაკადულო! მე აქა ვწვალობ,
შენ კი უდარდოთ იქ გეკინება:
შესტრფი, შეჰხარი შენს ვიწრო ორწოხს,
შენის ლიკლიკით მუდამ ხმიანსა,
და რომ სხვა და სხვა გზა გვაქვს მე და შენ,
ფიქრსა ალმიძრავ კაეშნიანსა!..

ხმა. „მთის ხელმწიფის მსახური ვარ,
მძლეთა მძლევი ბაყათარი
და წიაღში ამ შავი მთის
ჩემი გული ლაღათ არი:
ლუკმათ მყოფნის თითო დათვი,
თითო ხვლიკი შეჭამანდათ;
მსუქან მუცელს ვიურავებ,
გადვიქეცი სულმთლად მადათ!
სულ ეგ საზრდო ერთნაირი
არის თუმცა მოსაწყენი,
მაგრამ აბა რას გააწყობ,
შიმშილით პირ ანაფჩენი?!
ვენაცვალე მე მთის ბილიკს!
ზოგჯერ საქმელს ის მისხვავებს,
თორემ მთაში მე, დათვის მეტს,
აბა, ვინ—რას მამაქვავებს?!
მართალია: ხვლიკებს ხშირად
შევსცვლი ხოლმე მთის ბუებით,
საგანგებო ბადით ვიჭერ
მოჩვევით და მოტყუებით,
მხოლოთ დათვი... სულ დათვები...
ბრრ!.. ქონი აქვთ ერთობ მყრალი...
ჩუ! მთის ბილიკს ვინ მოიწმენდ?
ვინ ხარ აქეთ მომავალი?!.

ნ. ზოამლეთელი.

(შემდეგი იქნება)

კუდიანი დეკემბერი გურიიდან.

(ვაი—უის საგენტო)

ოზურგეთი. .....ორი მაისის წინადღით დაატუსაღეს შემდეგი აღა ვაჭარ—ხელოსნები: გიორგი კუკუ, ბესა ცერცვა, ნოე კუპრივით ნათელი (ივი ჟამა) კოწია ჯვარასია გრიგორ თენია, პავლე პატრი, იაგორ კუკი გიგლო გედეონი, ივანე გიგოტა თეოფილე გიორგა და სხვები. ჯერ არც ერთი არ გაუნთავისუფლებიათ—აბრალებენ პირველ მაისს ნოქარ შეგირდების სამუშაოდგან განთავისუფლებას: „წადით შვილებო დაისვენეთ უწინ თუ თქვენი დრო იყო ეხლა ჩვენიაო.'' საზოგადოება და მეტადრე ნოქარ შეგირდები დიდათ დაღონებულნი არიან მათი აღა პატრონების ტყვეობით, რადგან ისინი ცნობილნი იყვნენ როგორც ზრდილნი ლმობიერი და კეთილი ,,ხაზეინები.'' საწყალი ნოქრები უმათოთ სიმშილს განიცდიან.

სოფ. გომი. გაჩხრიკეს მათე გარაყანიძე და პახუმ ღლონტი უპოვნეს ერთგვარი სია რისთვისაც წარდგენილ იქნენ...

სოფ- ხვარბეთი. ნესტორ თოიძემ აღმოაჩინა ერთ ფაცხაში კაკვზე დაკიდული არსენალი აღმოჩნდა უჩახმახო ფილითა — ამაო მოყვა მთელი სოფლის საერთო გაიმასქნა. ნესტორმა განაცხადა მიკიტანმა ივანე ლომამ მიღალატაო.

სოფ. ლიხაური. მაზრის უფროსმა პლატონ ატოსძე სალუქვაძეს სამადლობელი ადრესი გაუგზავნა.

შუბანი. (ერკეთის საზ.) კუროპატკინი იესე მდივანი და თინათინებრ ნაკეკლუცევი მართა შეუდგნენ სასოფლო გზის კეთებას, ბეოლიეთში მათი წყალობით მდ. გობაზეულზე კეთდება ცემენტის ხიდი

ს. ნიგოითი. კონსტანტინე ნასრია ინიშნება კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამეურნეო (Хозяйственный) ნაწილის გამგეთ.

— **ლანჩხუთი:** სოფელ შუხუთში შესდგება საინტერესო ჭიდაობა—ნიგოითლების მხრით ფალავნათ გამოდის კაპიტანი ტიტე—შუხუთის მხრით უცნობი ,,ორ სოფლელი.'' ასისენტათ მოწვეულია პირველის მხრით, კოწია თუმანიშვნლი მეორეს მხრით კოწია ჟანი ჭიდაობამ უნდა გადასწყვიტოს სად აშენდეს ,,მარინეკი'' სასწავლებელი.

სუფსა. კნიაზ ვანო დავითისძე გურიელმა გადასწყვიტა მეოთხე სათათბირო არჩევნებზე წამოაყენოს თავისი სადეპუტატო კანდიდატურა.

ოზურგეთი.— პლატონ ბერიძე და ყველა ნაპრისტავალი პენსიონერები ქალაქის თავობაზე კატეგორიულ უარს აცხადებენ

გურია. (საერთოთ)

მივალთ ბახმაროს
ვეძებთ საქმაროს.

სანაგვე გამოცემანი.

(ბიბლიოგრაფიის მაგიერი)

ზოგიერთა სანაგვე პოეტ-მგოსნები, სანაგვე მაინც ამშვენებენ; მათთვის სანაგვე მაინც არ გეანება. ეგევე არ ითქმის ზოგიერთა გამოცემის შესახებ—ხშირია ისეთი გამოცემა, რომლისთვისაც სანაგვე გენანება, რა არის თავის უწმანდურებით სანაგვე არ წაბილწოსო, ასეთია სხვათაშორის ახალთ ახალი 300 გვერდზე — წიგნი „ეფრემ-ვერდი", „რომელშიაც მოთავსებულია ვარსკვლავთ-მრიცხველობა, მოსწავებანი სამუდამო წლების შესახებ, ნამდვილი ეტლის გაგება ადამიანისა, ძველ ფილოსოფოსთაგან თქმული კარგი და სამაგალითო სიტყვანი, უებარი წამლეულობა, ასოთ თამაშობა, სიზმრის ახსნა და სხვა მრავალი ამისთანები."

„ძველ სომხურიდგან ნათარგმნი დამატებით, დასურათებითა, მხატვარი გრიგორიანცისა, გამოცემული მიხეილ ანდრიას ძე ზარიძისა, № 70, ფასი 1 р. 50 к. კაპ."

რაც ზევით მოვიხსენეთ სიტყვა-სიტყვით, ამ ძვირფას წიგნიდგან არის გადმოწერილი უმეტ-ნაკლებოთ შეიძლება ვინმეს ფასი 1 р. 50 коп. დიდათ მოეჩვენოს, მაგრამ უსამართლობა იქნება—აფსუსი არ არის მანეთ ნახევრათ ამდენი ცოდნა-მეცნიერება შეიძინო და ასე მცირე ფასი დაგენანოს? ეხ, მახლას! თათრები იტყვიან: „ფლავი ვის უდგას და იშტა ვის აქვსო!?

რამდენი ხალხის სასარგებლო წიგნი ვერ პოულობს გამომცემელს, ამავე დროს იბეჭდება სურათებით ასეთი ყოველ ღირსებას მოკლებული წიგნი. რა გინდა, რომ ამ წიგნში არ იყოს—ყველაფერია შიგ, მაგრამ ყველაფერი უტიფარი, ტვინ ნაღძობის ადამიანის (თუ შეიძლება ასეთ მატყუარას ადამიანი უწოდოთ) შერყეული გონების ნაწარძოებია, სავსე სიბინძურით და ცრუმორწმუნეობით. უტევოთ ჩვენი აზრი და ავაღაღადუროთ თვით წიგნი, მოვიყვანოთ სანიმუშოთ ისეთი ადგილები, რომლისთვისაც მკითხველთან წინდაწინ უნდა მოვიხადოთ ბოდიში. რა ვქნათ, თუ მკითხველს არ დაეზარება 1 р. 50 коп. გადაგდება, იქ უფრო ხალას მარგალიტებს ნახავს. ავიღოთ სამკურნალო განყოფილება, „უებარი წამლეულობა". (გვერდი 261).

1) „ცოფიანი ძაღლის ნაკბენზედ თუთის ფოთოლი დანაყეთ და დაადეთ, მორჩება". (აფსუს პასტეროო!?)

2) „ვისაც სურს ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანის მრთელობა, იმან უნდა ყოველ დილით თვითო მუჭა შარდი დალიოს თავისი ან სხვისი ბავშისა. ამისი სარგებლობა დაუფასებელია". (უბედური ბროუნსე კარი!?).

3) ბუასილი. „აქლემის შარდი სამჯერ უზმოზედ დალიე და მოგირჩება სრულიად".

„ბალნისათვის. ყვავის ქონი საცა სცხო, თავის დღეში ბალანი აღარ ამოვა. მტრედის ნაღველა საცა სცხო, აღარ ამოვა, ძაღლის რძე საცა სცხო, აღარ ამოვა, თხის ნაღველი ნიშადურით საცა სცხო, აღარ ამოვა*). კატის ფინთი დანაყული და ძმარში გარეული სადაცა სცხო, ბალანი აღარ ამოვა" და სხვები...

სიზმრის ახსნა დანიელ წინასწარმეტყველისა. ასე წარმოიდგინეთ, დანიელის დროს ბულკი და ბაშმაკებიც სცოდნიან და ჩვენ ეგ არ ვიცოდით.

1) „იარაღის ხმარება ჩხუბისა და ალიაქოთის ნიშანია."

„ინდოური კარგია. კაცის მოკვლა მწუხარებაა. კოცნა მკვდრის ძალიან ცუდია. შენობის აშენება კარგია, ოჯახის ბედნიერებაა. ჩამოვარდნა ძაღლიდან ცუდია." და სხვა მრავალი; სიზმრის ახსნას უჭერია 25 გვერდი.

„სასარგებლო და გამოსაყენებელი თქმულებანი გამოჩენილ ძველ ბრძენთა: ოთხი რამით იცლება კაცი ქონებითა: ცეცხლითა, გაცარცვითა, ნიაღვარითა და სეტყვითა."

ოთხი რამეა უსარგებლო და მავნებელი: ცოლთან წოლა უშვილო კაცისა, ფიქრი სიძულილისა, ფიქრი სიყვარულისა, შური გულის გამცვეთი."

„ოთხი რამეა დაუბრუნებელი: ქალწულობა, სიცოცხლე დალეული, სახელის გატეხა, ასოს მოკვრა."

„ოთხგვარი ბოზობა არის საყოველთავო: პირველი შეყარებითა, მეორე მეტად გახურვებითა, მესამე ინტერესითა, მეოთხე სახელის გავრცელებითა.,,

ასეთი „ოთხგვარი" სიბრძნე ფილოსოფიას 30 გვერდამდე ადგილი აქვს დათმობილი. ერთი სიტყვით, ვისაც გნებავს იყოთ ყველაფრით სრული, განვითარდეთ მეცნიერების ყველა დარგში, ნუ დაიზარებთ, იყიდეთ „ეფრემ-ვერდი" ‌ᲬᲐᲓᲐᲐᲒᲐᲠᲒᲐᲚᲔᲗ თავიდგან ბოლომდე და იქნებით ისეთი სრული, როგორიც არის მხატვარი გრიგორიანცი და მოწაფე მისი მიხაილ ანდრეიჩი ზარიძე.

ანწლაძე.

*) ეს რომ მართალი არ იყოს, ვ. გუნიას ულვაში ექნებოდა! ავ.



გურული სცენა.

(ვიბრძნი!??)

I

— ციცავ, ციცავ, ცინცალაი შეგეყარა და იმან გაგაცხებია სული, გოგო, გოგო, შე ბროგო შესაყარო, მელინკიავ შე გასაცუდებელო საკულმუხეთში დეიკარგე, ოი! არ მოგიყვანა დედაშვილოპის გამჩენმა ღმერთმა. მელინკიააავ მელიიინკიააავ გამეიარე შე შეჩვენებულო გამეიარე დედო ქვესკნელი გეიარე ვინც აქ არ იყურებ!

— მუალ, ნენა, მუალ!

— ოი შენი ხმაი არ გეიგონა აფერმა სულიერმა შე სარამიტელო შე ფეხ გასაცხებელო შინ მოსლას დაღამებას და გათენებას ძროხაც კი მიხთება ბ შენ რა ღმერთი გაგიწყრა რა შენმა ცოდვამ შეგაძულა ოჯახი, პაწეი ხომ აღარ გგონია შენი თავი კასხელა დუნდრუცი ხარ; დეიხედე ძუძეებზე შე ღვთის პირიდგან გადავარდნილო შენხელა რომ ვიყავ დანიშნული ვიყავი აბძანდი ვიცოდი დაბძანდი, სახლი და კარი მტერი და მოყვარე შენ ვისი ცოდვა გეწია რომ არ ვიცი?

— რა იყო ნენა აძომდალაგე წყევლით მადლობა ღმერთს რომ არ კვეთს შენი წყევლა თვარა ამდენხანს ამ მუხურში მე კი არა ქვაი ქვაზე არ იქნებოდა!?

— რავა რა იყო ნენავ, შვილო, პაწეი კი აღარ ხარ გასათხვარი ქალი შეიქენი რავაც შეგიძლია ოჯახს რაცხა შენც ვნდა ლაჰჩდე—ღმერთმა იპრიანა და არ მეიძულა მისი გაჩენილი ქვეყანა რავაც იქნა გამეიმეტა და წვიმა გვადირსა, ოჯახი ერთ დღეს დეიფსება და ერთ დღეს აშენდება, მაისის წვიმას ქრისტიანი რავა დაკარგავს რგვაის დროია დედო მიწის გული ახლაა გამბალი გადიარე მეზობლებისას ზოგს კეჟერაის ნერგი გამოართვი ზოგს პატრიჟანის, პრასის, ზაფრანაის და ქონდარის. ჩემსას რომ იყო თითო ქვირთი წეიღეს, ყველას ვახვედრე არე კაცი გამიწბილებია და ჩვენ რეიზა უნდა დაგვიკავონ.

— კი ნენა ყველას ჩამეიარ!

— ხო შვილო ხელიანი კალათი წეიღე და ფურცელგადააფარე ზეიდგან მზეს ნუ დაახედვებ.

II

— ამას რას ხედავს ჩემი თვალები ხელ ცარიელი მოდი გოგოვ, რავა ცარიელი მოიტანე კალათაი??

— რავა რა მექნა ნენა, მე ვერ ჩავწობოდი შით და სხვაი ვეფერი ვიშონე—ყველაი მეზობლები მათხოუარსავით ჩამეივიარე, მარა ყველამ გამაწბილა?

— რაიო მაინც მიზეზი რა გითხრეს?

— რაი და სოფლური პროტი—ვიბრძნითო! მატამ მითხრა დღეს სკამა ყარა და ვეფერს გავცემო იგი არა პინჭიც კი დამატიებია, კესარიამ მითხრა დედა შენს ბალჩის ნერგიზა კი არა სული რომ მთხოვოს რავა დუუკავებ მარა ღორმა გოჭები ქნა და ვეფერს გავცემ ვიბრძნიო!

— ოი ღორის რჯულზე იარა!

— ზეხამ დღესო ღომის კეკალი გევიყვანთ თვარა რა უნდა იყოსო, მაკრინემ მითხრა ძალიან მომერიდება ძალიან მომეხათრება, მარა შენც ქე იცი ერთი ლერი ბალანაი მყავს და იმის შვამავალი მომივიდა დღეს რამეის გაცემა გლახათ მაქ დაცდილიო. ასე ხელ ცარიელი ქე გამომიშვეს.

— ვაი ღმერთი აფერ სიკეთეს არ აღირსებს არც ერთს, მოდი ახლა და იცხოვრე ამფერ კრუ მეზობლებში მე რა ქვეყნის აბდალაი მნახეს ვითამ თუ ვინმეს რამეიზა მუცდეს ფეხი არე კაცს აფერი მისცე დღეს მოჭვა ამუაპურე და ვიბრძნი თქვა. აბა რაი, იგინი ჭკვიანი და მე აბდალაი! ვერ მივართვი სწორებ!.

პიტნა.

გზა და გზა.*)

(მასალები საქართველოს ისტორიიდან)

არსად, მთელს ქვეყანაზე ასეთი კუთხე არ შემხვედრია: უზარ-მაზარი მთები და მინდვრები, ზღვები და მდინარეები.

იცის ქარი და წვიმები, თოვლი და სეტყვა, ქურდობა და ეგზეკუციები.

ცხოვრებენ უმთავრეს ნაწილათ თავადები და პოეტები; ადგილ-მამული თავადებს ეკუთვნის, ხოლო ჰაერი კი პოეტებს.

თავადებსა აქვთ ბანკები და დუქნები, სადაც უმთავრესად ატარებენ დროს.

აქვე ცხოვრობენ აგრეთვე მღვდლები და გლეხები. მღვდლები, რომლებიც გრძელი წვერითა და ფართე სახელოებით განირჩევიან სხვა ტომებისაგან არიან დანიშნულნი გლეხების დასამარხავათ. ამ საქმეში ისინი კარგა ბლომათ ფულს იღებენ და გვარიანადაც ცხოვრობენ. მღვდლებს ყავთ ცოლები და მრავალი შვილები. ცხოვრობენ ხანგრძლივათ.

გლეხების დანიშნულება უფრო მარტივია. იმათი საქმეა ადგილის დამუშავება, გადასახადის გაღება, გზების კეთება, ქრთამების ძლევა, ეკზეკუციის შენახვა და სხ.

სწავლა-აღზდის საქმე უკიდურესათ განვითარებულია. მღვდლები სწავლობენ ხუცურ ენაზე, თავადები კი მხედრულზე. გლეხებისათვის სწავლა საქიროთ არ არის მიჩნეული, ხოლო პოეტები თითონ ასწავლიან სხვებს.

ეკონომიური კეთილ-დღეობა საქართველოს მკვიდრთა ერთობ ცვალებადია. ძველიდან თურმე თავადები იყვნენ უფრო მდიდრები შემდეგ მღვდლები და ახალა კი ყველანი დაღარიბდენ.

გლეხები არასოდეს არ ყოფილან კარგს მდგომარეობაში და პოეტებიც აგრეთვე.

სახელმწიფოს სასარგებლოთ მღვდლები იხდიან ლოცვას, თავადები ქუდს, პოეტები მარკის ფულს, ხოლო გლეხები საკუთარ ტყავს.

ძველს დროში ეს სახელმწიფო დამოუკიდებელი ყოფილა გარეშე მეზობელთაგან... სახელი „საქართველო“ წარმოსდგება ,,მძარცველობისაგან.‘‘

უმთავრესი ქალაქი საქართველოსი ქუთაისია. ქუთაისი ყველაფრით საყურადღებოა და სამაგალითო. მას ბლომათ ასხია როგორც მღვდელი, აგრეთვე თავადი და პოეტი.

ქუჩებში დარში მტვერი იცის, ავდარში ტალახი, ხოლო სხვა დროს ქარი. ეს ქარი ძლიერ აწუხებს პოეტებს.

---

*) ეს საუცხოვო ნაწყვეტი, ბუშმენთა მეცნიერის ფ ხ ა კ-უ-ნ ი ს წერილისა შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში და ვიჩქარით გამოქვეყნებას.

ეშმაკი.

აქაური თავადები ხშირათ მართავენ არჩევნებს, ირჩევენ წინამძღოლებს, როგორც ჩვენს ქვეყანაში ბიზონებმა და სპილოებმა იციან ხოლმე.

წინამძღოლი უთუოდ უნდა იყოს ზორბა ტანისა, ანუ როგორც ქართველები იტყვიან—,,ახოვანი" დიდი ღონის პატრონი; კარგათ უნდა ხმარობდეს ხმალ-ხანჯალსა და აგრეთვე მუშტებსაც. ზოგჯერ, არჩევნების დროს, მასპინძლობასაც აქცევენ ყურადღებას, მაგრამ მოუდგომლობას და ფაქიზობას ანუ სწავლა მეცნიერებას არასოდეს.

აქვე არსებობს შავი ქვის მაღაროები. ეს ჩინებული საზამთრო ადგილია. შავ საქმეს გლეხები აკეთებენ, ხოლო თეთრს თავადები და ვაჭრები იღებენ.

მთელ სატახტო ქალაქში მხოლოდ ერთად ერთი მდინარე ჩამოდის, რომელიც სასმელათ ვარგა. მას ეძახიან ,,ლაღიძის წყალს."

ამ წინაზე ორ წინამძღოლის თავადებისას მოსვლიათ....."

სამწუხაროთ,სრულიად მოულოდნელად სწყდება აქ ეს საინტერესო მიმოხილვა. ვინ იცის, რამდენ რას აღნიშნავდა ბ-ნი ფხა-კუ-ნი."

ეშმაკი.

შ ა რ ა დ ა.

გაქვავდეს ჩემი ენაი,
ვერ აბრუნებდეს წვეროსა,
საჭირო დროზე შარადა
თუ-კი არ მოგიმღეროსა,
თუ შეეზაროს ეგ საქმე,
გაჯავრდეს, განიბეროსა,
თუ გლოვა იწყოს, დადუმდეს
შავები შეიკეროსა.
ისტორიული ვინმეა,
ქართველთა მეფე, მმართველი,
შორეულ დროთა მოწამე
ჭირთა მრავალთა მნახველი,
საშარადოის სიტყვისა
ამ ჟამად გამომნახველი
„მართალი“ იყო იმ მეფის
ვგონებ ზედ-მეტი სახელი.
ვინც ისტორია არ იცის,
ვინც კოჭლობს ამა დარგშია,
ვინც ქართველობას ტრაბახობს
მართოდენ ლაპარაკშია,
ვინაც ვერ არჩევს ფშავ-ხევსურს
ინგლისელსა და ფრანგშია,
იმან ვერა სცნოს ეგ მეფე,
ჩავარდეს ფათერაკშია.
ვინაც სცნო, ეგე სახელი,
არ დარჩა განაწბილები,
სჩანს გამოცდილი ყოფილა
ნამოსევ-ჯანაშვილები,
იშვიათ მწიგნობარობით
გაჟღენთილ განსწავლილები,
მას შარადისა ცნობაში
ნურავინ შეეცილები.
ახლა განაგრძეთ ისევე
კვლევა და გამოძიება,
თორემ, ვაცხადებ სიუქმე
არავის ეპატიება:
ქვეყნისა არის ნაწილი,
პირველათ იხსენიება,
გეოგრაფია ვინც იცის
დიდი არ უნდა ძიება.
თვალ-უწვდენილი მხარეა,
მთა-გორით დაფენილები,
ურიცხვი ხალხი ასხია,
(ყვითელ-ყვითელი შვილები)
ათასის ზღვებით, მდინარით
დაღარულ დასერილები..
ალბათ, გსმენიათ თქვენ მასზე
მრავალი დაწერილები.
მოაკლდეს უნდა (უთუოდ)
პირველი ასო ხმოვანი,
(არცა ძნელია სასაქმო,
არც მცირე მნიშვნელოვანი,)
მას მოახერხებს ყოველი
სუსტი, თუ მცირე-წლოვანი,
რამეთუ არა სჭირია
სწავლა და გამოკლოვანი.
წამოაკერეთ პირველსა
მეორე სიტყვის ნაჭერი,
და უცებ მახე გამოვა
ჩინოვნიკების საჭერი.
კაცებისაგან შესდგება
არ არის ნაჭედ-ნაკერი
რომ ბაქი-ბუქობს, იმდენი
საქმე გამოდის აფერი.
ინტენდანტები ებმიან
იმაში პირველ ყოვლისა,
(თავი რო ეგულვებოდათ
უსპეტაკესი თოვლისა,)
რკინის-გზის მოხელეები
ხაზინის გამომწოვლისა,
სხვა და სხვა დარგის ვირთხები
მსურველნი კუჭთა მოვლისა.
ამ ბოლო ხანში გახშირდა,
ძველთაგან მინავიწყები
ღლესაც მოუჩანს „მუგუზლით“
მას ზურგი შენაფიცხები,
მოსაჩვენებლათ აგებენ
ერთობის დანასიცხები
თვით დასაჭერნი, სათოკე
და მრჩობლად გასაკიცხები.

კოლო.

ინგლისის ლორდები გერმანიის სახით აფრთხობენ გულუბრყვილო მოქალაქეებს, რომ შემდეგ თავისუფლად გაძარცვონ ისინი.



გერმანელი იუნკრები ინგლისის საფრთხით აშინებენ გერმანელ მოქალაქეებს, რომ შემდეგ თავისუფლათ გაძარცვონ ისინი.

თეატრში.

(ლეონიდ ანდრეევისა *)

ერთხელ, ხალხით სავსე თეატრში, განსაცვიფრებელ მოვლენას შევესწარ. წარმოდგენის დროს ვიღაცამ არ ვიცი ტაში დაუკრა, არ ვიცი მოწონების ვაშა დაიძახა, არ ვიცი დაუსტვინა,—ერთის სიტყვით მშვიდობიანობა დაარღვია.

— ჩუმათ! დაუძახა მას მისმა მეზობელმა, რომელიც ალბად გატაცებით უსმენდა მსახიობს.—დასწყევლოს ღმერთმა, აღარაფერს გაგაგონებენ კაცს.

— დაწყნარდებით თუ არა, ეი! დაუყვირა ვიღაცამ მეორე მოლაპარაკეს.—თუ თეატრში თავის დაჭერა არ იცით, რატომ მოდიხართ, უშლით საზოგადოებას.

— რა სისულელეა ნეტავი! დაუყვირა მეოთხემ მესამე მოსაუბრეს.—სრულებით აღარაფერი ისმის! ნუ თუ არა გრცხვენიათ!

— აღარ ჩაიკმენდთ ხმას! დაიძახა მეათემ.

— მოეღება თუ არა ბოლო ამ სისაძაგლეს! დაიგუგუნა მეხუთმეტემ.

— სიჩუმე! სიწყნარე! სიჩუმე! მოისმოდა ყოველი კუთხიდან, ვიდრე მთელი თეატრი არ ახმაურდა და ცალკე პირთა უსიამოვნო გამოძახილი ერთ ხმად არ შეერთდა.

ყველას სიწყნარე უნდოდა, სწორეთ იმისთვის ყვიროდა და გასაოცარი ის იყო, რომ ამით სიწყნარე სულაც არ მყარდებოდა. პირიქით, რაც უფრო მეტად სურდათ სიწყნარე, მით უფრო ნაკლები რჩებოდა ის და დასასრულ, როცა სხვების მოთხოვნილებას ჩემი ხმაც შევუერთე და დავიძახე: ,,ჩუმათ სიწყნარე'' მეთქი, დავრწმუნდი, რომ მე აღარავინ მისმენდა და თავს კი დამყვიროდენ:

— აღარ დააწყნარებთ მაგ ხახას, რა გაღრიალებს... **კ.**

*) ეს პატარა მოთხრობა, თითქო ქართული თეატრისათვის არის დაწერილი. ეშმაკი.

ნიკობურგი (ძველათ ფოთი.)

(რეცენზიის მაგიერ.)

ნიკობურგელებს ,,მთქნარების'' ხალხს გვეძახიან, მაგრამ ეს შემცდარია. ჩვენ ხშირად ვმოღვაწეობთ და მოღვაწეობა ჩვენი მრავალ-ფეროვანია. ამ ჟამათ მკითხველის ყურადღება გვინდა აქაურ ერთი დარგის მოღვაწეებს მივაპყრათ. ეგ გახლავთ სცენის მოყვარენი. სწორეთ გითხრათ კარგი ხანია, რაც ჩვენ სცენაზე არა გათამაშებულა-რა, ე. ი. ჩვენ სცენაზე ჩვენი სცენის მოყვარენი არ გვინახავს. ალბათ, ჩვენი მოწყენილება იგრძნეს სცენის მოყვარეებმა და 30 მაისს გაგვაბედნიერეს. დადგმულ იქნა დრამა ,,და-ძმა''. არ იფიქროთ ჩვენი სცენის მოყვარენი ,,უბრალოები'' იყვნენ. ისინი თუ დრამატურღები არა, მოდრამატურღო ხალხი მაინცაა. თუ სცენაზე არა, სცენამდე გაითამაშებენ დრამას. ჰო, და როგორ არ დავინტერესდებოდი 30 მაისის, წარმოდგენით. ცოტა ადრე მივედი. კულისებში ისტერიული კვნესა მომესმა. ერთი ვინმე გულ-ამომჯდარი სტიროდა: ,,დამღუპა ანტონმა, ამოაგდო ჩემი ოჯახი, გამომჭრა ყელი, რა დროს მიღალატაო''. ვკითხე მიზეზი.—მიპასუხა, ,,სწორეთ ფარდის ახდის დროს გამეპარა სადღაც და ეხლა წერილი მივიღე, რომლითაც მატყობინებს ,,თუ ათ ქანქარს არ მომცემ, ისე არ ვითამაშებო.'' მე ბრიყვი რათ ვენდე მას, განაგრძო დრამატიულათ მობუზულმა სცენის მოყვარემ. ვიში და გლოვის შემდეგ, ხელად მოსძებნეს მაგიერი და შეუთვალეს წყევლა-კრულვა, ან. მამათმთავარს სცენის მოყვარეთა. გადაწყვიტეს ეთამაშათ. აიხადა ფარდა და სანახაობა ძლიერი გარდაიშალა ჩვენ წინ. იმდენათ რავა გავკადნიერდებოდი და სათითაოთ როგორ გავბედავ ამსრულებელთა გარჩევას. ყველანი (გარდა მცირე გამონაკლისა) მშვენიერები იყვნენ. განსაკუთრებით კარგი იყო ოტია. მან ისეთი ძლიერებით ჩაატარა თავისი როლი, ასე გეგონებოდა კვინიხიძის როშს ექიდავებოდა. ამ ძლიერმა სცენამ დამსწრენი მეტად აალელვა, მეტად ძლიერ და მართლაც დრამატიულად ჩაატარა თავისი როლი ადამიას ცოლმა. მისმა თამაშმა სულ ააქვითინა დარბაზი. სხვები? სხვები ხომ ,,სამკაული'' იყვნენ. მასსიური სცენები დიდებული იყო. განსაკუთრებით სიმღერა. ,,ჩახრენწილმა ხმეპმა'' დიდ ექსტაზში მოიყვანა დარბაზი. აქ სცენა, შეთხზული რამ კი არ გეგონებოდათ, ნაიღვილი სცენა, ე. ი. ჩავლეიშვილის დუქანს აქ ხომ მეტის ყურადღებით ეკიდებიან. ასე მხიარულად დასრულდა გუნიას გულდამკოდი დრამა...

ორიოდე სიტყვა ,,პუბლიკაზე''.

ამ საღამოს ,,პუბლიკა'' ც არაჩვეულებრივი იყო. ჩვენ ძალიან გვეჯავრება რაღაც დარბაისელი ხალხი, რომელიც გაქვავებულა კონსერვატორებივით თავის ადგილას და უძრავათ ზის და ერთხელაც სიჩუმეს არ დაარღვევს. სამაგიეროთ, 30 მაისს თავისუფალი ,,პუბლიკა'' იყო; ის მეტად მოძრავი და ნამდვილი ,,დემოკრატიული''. აქ ამ საღამოს ყველაფერი მოძრაობდა: ხელები და ფეხები თავისუფლად დასეირნობდენ, თავისუფლად ეძინათ, თავისუფლად კეთილხმოვანებდენ, თავისუფლად ხვრინავდენ, თავისუფლად იმღერდენ (ჩავლეიშვილის სცენამ ბევრს აღუძრა მადა ,,გაკრიმანჭულებისა''), თავისუფლად ქაჩავდენ თამბაქოს და სხვა. სწორეთ სიხარულით ენა გეზმება ასეთ ,,დისციპლინიროვან''

პუბლიკას რომ შეხვდები, თორემ კონსერვატორებმა თავი მოგვაბეზრენ. ამ რიგათ წარმოდგენა ესე ყოველმხრივათ ორიგინალური იყო და შთაბეჭდილებაც იშვიათი. ნეტარნი არიან ნიკობურგელნი, რამეთუ სტკბებიან ასეთი სცენებით!

ვოლდემარ.

მთვარეს.

ლაღათ დასცურავ ცისა სივრცეში
სულ წინ მიილტვი, მიეშურები
არე-მიდამოს ღიმილით ჭოცნი
და მთის მწვერვალებს ეალერსები.
ზღვას დაჭქათქათებ, სხივებს აპკურებ,
ყელსა ეხვევი კიდე-ნაპირებს
და ზღვაც მკერდს გიწვდის ამბორ საყოფათ,
მძლავრი ტალღებით გიგალობს ტკბილ ხმებს.
შენ თავისუფლად მიილტვი, მთვარეო!
გზას არ გიღობავს ზღუდე საზღვარი,
ხელს არვინ გიშლის და სვლას განაგრძობ...
ირგვლივ გარტყია ვარსკვლავთა ჯარი ..
ჩემთვის კი... ჩემთვის ოჰ, მთვარეო!.. მთვარეო!..
რისთვის დახშულა ყველგან სავალი?
და რად მიშლიან ადამიანსა,
რომ მეც ვიდოდე თავისუფალი?..
რად... რად მიშლიან აქ შვებას ვგრძნობდე?
საცოცხლის ჩანგსა ზედ დავმღეროდე?
სატრფოს ღიმილი გრძნობას მიტკბობდეს
და იმედით წინ მივისწრაფოდე?!.
შენ სულ იცურებ, სულ იკაშკაშებ...
მე, ვით სანთელი, დავდნებ-ჩავქრები...
და რად მიშხამენ ამ მოკლე დღესაც
მოზვავებული შავი ფიქრები?!..
შეგხარი, მთვარეო, და თან მაღონებს
შენი კაშკაში, ლაღათ სრიალი!.
ხან იმედებით შემოგტრფიალებ,
ხან მეჯავრება შენი ციალი!..

ანათემა.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

სოფ. **ახუთი.** (ზუგდიდის მაზ.) ახუთის აფთიაქის პატრონს ბ-ნი ვ. ვოლსკის დაუდგენია: 1) აფთიაქში დაწესებული ნიხრი წამლებზე, ერთი ხუთად მოემატოს. 2) ვისაც მისგან წამალი ესაჭიროება, ერთი კვირით ადრე შეატყობინოს. 3) მის აფთიაქში დამზადებული წამლების შუშების დაცობა და რეცეპტის ჩამოკიდება ამიერიდან მოისპოს.

ახუთის სამინისტრო სკოლის შენობაში დასრულდა მონარდ კარტეთ სეზონი. ამბობენ, 1-ლ სექტემბრიდან ისევ განახლდებაო.

ვ ი ნ ა ო რ ი ?

ძმაო ეშმაკო ისმინე
სამტრედიელთა მუდარა,
და გაუშოლტე მათრახით
„კარაპუზნიკი" მასხარა.

ქუდზე ორ „ზნაჩოკს ატარებს
ხელს არ აშორებს ულვაშებს,
და თითქოს რწყილის ნაკბენით
ბეჭებსაც შეათამაშებს.

მისი მრწამსია ქალები
მიზანი სკრიპაჩობაო,
ბაღალ ტუზებში ჩანჩალი
და მათ წინ ლაქიობაო

მეთვალყურე.

დ ე პ ე შ ე ბ ი

ქ. თელავი. გაჩნდნენ კაცის ყლაპიები. ჯერ-ჯერობით მი--მ ჩაყლაპა ორი გალობის მასწავლებელი, ერთი ძღვდელი, „პისმოვოდიტელი" ქ. ზავედენიის სამღვთო სჯულის მასწავლებელი და სამინისტრო შკოლის მასწავლებელი. თურმე კიდევ ბევრს უქადის ჩაყლაპას.

იქიდანვე. აგენტი და თავის მწერალი კუდიჩი ღვინის მორევში ჩაცვინდენ. საშველათ გამოცდილი მცურავები ჩაგზავნეს

იქიდანვე. სასტუმრო „ესპერანტოში" კვირაობით დანიშნულია მუშტი კრივით ვარჯიშობა. წარსულ კვირაში პრიზები ილიკომ, ვალიკომ, კოტემ და მაყაშვილმა მიიღეს.

იქიდანვე უქმე დღეებში ბევრ მუშაობისგან გაუფუჭდათ თვალები სასამართლოს უმცროს მოხელეებს (მწერლებს). მსაჯული მუქთ ექიმს შეპირდა.

იქიდანვე. კოტეს განუზრახავს ჟურნალ გაზეთების კანტორა რევაზას რესტორანში გადაიტანოს.

იქიდანვე. ვინც „ეშმაკის მათრახის" თელაველ კორესპოდენტებს იპოვის, ჯილდოთ მიეცემა კლასნი დამებისგან რასაც კი მოითხოვს.

წიგნის გამომცემელი ამხანაგობა

„ალიონი“

მიიღება ხელისმოწერა სამ წიგნზე ვადით, 15 ივნისამდე.

1 კარლ კაუცკი —(კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება) თარგმანი რუსულიდან ფ. მახარაძისა, ავტორის და კ. მარქსის სურათებით, მათი მოკლე ბიოგრაფიებით, და მთარგმნელის ვრცელი წინასიტყვაობით. დახლოვებით 500 გვერდამდე.

2. ივ. გომართელი. „ალაზნის [illegible] 100 გვერდამდე

3. ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი. „ბედის ტრიალი“ (რომანი) [illegible] „ეკლესიის გარშემო“ (მოთხრობა) ავტორის სურათით. (ორივე ერთ წიგნათ), პირველის შინაარსი აღებულია ქართველ თავად-აზნაურობის და მეორესი—დღევანდელ სამღვდელოების ცხოვრებიდან. 400 გვერდამდე.

სამივე წიგნი დაიბეჭდება ცალ-ცალკე ერთ და იმავე დროს. ხელის მოწერით ღირება მხოლოდ ერთი მანეთი.

ხელის მოწერა იწყება 1-ლ მაისიდან ამა 1910 წლისა და შეწყდება 15 ივნისს.

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ კვიტანციის გამყიდველი არა გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯი, ე. ი. 1 მ. 50 კაპ. სამივე წიგნის.

ვინც ზემოხსენებულ დროს განმავლობაში არ მოაწერს ხელს ხსენებულ წიგნებზე, ის ცალკე გასაყიდათ წიგნებს ვერ იშოვის, ხოლო თუ იშოვა, სამჯერ მეტი ღირება ვინემ ხელის მოწერით.

გამომცემლების მიზანია კარგ შინაარსიან წიგნების იაფ ფასათ გამოცემა. რასაც ამტკიცებს „ალიონი“-ს მიერ გამოცემული წიგნები: № 1. „მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა 567 გვერდიანი, ღირდა ხელის-მოწერით 60 კაპ. და № 2 „გლეხი-კაცის ისტორია“ 1080 გვერდიანი წიგნი ხელის-მოწერით ერთი მანეთი.

თუ ვინიცობაა ზოგიერთ შემთხვევაში სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო გადარჩა ზედმეტი ეგზემპლიარები გამოცემული წიგნებისა, ისინი უსათუოთ სამჯერ მეტ ფასში გაიყიდება როგორც ზემოთ მოვიხსენით, ვინაიდან სხვა გზით შეუძლებელია ამ სისტემით წიგნების გამოცემა. ამიტომ, ვურჩევთ მსურველთ ხელის-მოწერით შეიძინონ ხსენებული წიგნები.

გამომცემლობა ხელის-მომწერთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ უცნობ პირებისაგან კვიტანციები არ იყიდონ.

ხელ-მოსაწერ კვიტანციებზე დაკრულია „ალიონის“ ბეჭედი.

წიგნები დაურიგდებათ ხელის-მომწერთ სექტემბრის პირველ რიცხვებში. პროვინციებში წიგნები მიიღება კვიტანციის გამყიდველთან და თფილისში გამომცემლობის გამგესთან, კიროჩნი ქ. № 9.

როგორც ქალაქში ისე ქალაქს გარეთ ხელის-მოწერა მიიღება ყველა აგენტებთან.

„გლეხი-კაცის ისტორია უკვე გაეგზავნა აგენტებს და ცალკე ხელის მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: *Тифлисъ, Василію Гадилія, Кирочная ул. № 9.*

(0—2) წიგნის გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. «შრომა» რუსის ქ. № 8. რედაქტორ-გამომცემელი **მ. ტურაბელიძე.**